პარასკევი, 27 თებერვალი 1904 წ.   1877 წელიწადი ოც-დამეერვე 1904   პარასკევი, 27 თებერვალი 1904 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12 თვით	. . 10 მ.	— კ.
11 ,,	. . 9 ,,	50 ,,
10 ,,	. . 8 ,,	75 ,,
8 ,,	. . 8 ,,	– ,,
9 ,,	. . 7 ,,	25 ,,
7 ,,	. . 6 ,,	50 ,,
6 ,,	. . 6 ,,	,,
5 ,,	. . 5 ,,	50 ,,
4 ,,	. . 4 ,,	75 ,,
3 ,,	. . 3 ,,	50 ,,
2 ,,	. . 2 ,,	75 ,,
1 ,,	. . 1 ,,	50 ,,

ივერია

№ 51   ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი   № 51

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თებერვლის 1 ს. 5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ. მარტის 1-ს 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

გამოვიდა და ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

ღალატი

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.
ფასი ერთი მანეთი

„ივერიის" ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად საცენზურო წესდების 1864 მუხლის ძალით აღკრძალულია.

როინაშვილისეული ფოტოგრაფია.

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

ფოტოგრაფია

როინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი).

იჯარით ავიღე

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;
2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;
3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი, მიეცემა მ უ ქ თ ა დ აკვარელით (ფერადებით) საუცხოოდ დახატული.**
4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასასყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, ნახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია დაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივისცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელაძე.**

ტფილისის სახაზინო თეატრი
რუსული ოპერა
ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 27 თებერვალს 1904 წ.,

ქ-ნის ე. ფ. ბობროვა-პფეიფერისა, საიმპერატორო თეატრის არტისტკის მ. დ. ტურჩანინოვისა და მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერის მონაწილეობით გ. პ. მაკაროვის სადებიუტოდ

წარმოდგენილი იქნება

რომეო და ჯულიეტა

ოპერა 5 მოქ., მუს. გუნოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ბობროვა-პფეიფერისა, ტურჩანინოვისა, ლელინასი; ბ-ნნი: ფიგნერი, სელიავინი, გლადკოვი, შმაკოვი, მაკაროვი, რჟანოვი, გავრილოვი, რაზუმნი.

ბალეტი გაიმართება ბ-ნის ვიტტიგის გამგეობით.

რეჟისორი ა. დ. ბელსკი
კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.
დასაწყისი საღამოს 8 საათ.
ბალკონისა და ქანდარას გარდა ფასები ყველგან მომატებულია.

ექიმთა, ადვოკატთა და სხვა ხელობის პირთა საყურადღებოდ.

„ივერიის" რედაქცია ამით აცხადებს, რომ საზოგადოების მოთხოვნილებისა გამო, საჭიროდ სცნო ჰბეჭდოს ხოლმე ამა თუ იმ ხელობის კაცთა ადრესები. ამიტომ, აარსებს რა გაზეთ „ივერიაში" ამგვარ განყოფილებას, აუწყებს მსურველთ, რომ მათ ყოველ დღე შეუძლიანთ,—დილის 12 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე, მიჰმართონ რედაქციას და შეატყობინონ თავიანთი ხელობა და ადრესი. თითო ადრესის ბეჭდვა ამ წლის განმავლობაში ეღირება მხოლოდ **ხუთი მანეთი** (5 მან.).

პირველ თებერვლიდგან 1904 წლისა
დიდუბეში,
გორის ქუჩაზედ, გაიმართა ახალი
ფოტოგრაფია
„რემბრანტი"
იღებს ყოველგვარ ფოტოგრაფიულ სამუშაოს ძალიან იაფად.

3—1

იმპერიის საგუბერნიო სათავად-აზნაურო საკრებულონი შეერთდნენ ომში დაჭრილთა, მოკლულთა და მათ ოჯახთა დასახმარებლად. ამ აზრით გამართულ იქმნა საყოველთაო, წოდება-განურჩეველი ხელის მოწერა შემოწირულებათა მისაღებად. შემოწირულება მიიღება ფულად და ნივთებად. საქმის მოწყობა მიენდო მთავარ-კომიტეტს მოსკოვში. კომიტეტის თავმჯდომარედ არის მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი პ. ნ. ტრუბეცკოი. კომიტეტში მონაწილეობას იღებენ ნდობა-მოსილნი კაცნი, ამორჩეულნი თითოეულ გუბერნიის თავად-აზნაურობის-მიერ.

ტფილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო საკრებულომაც გადასდო ამ საქმისათვის უკვე ცნობილი რაოდენობა ფულისა და ჰზრუნავს ახლა, დაამზადოს ისეთი ნივთები, რომელიც საჭიროა ქსენონთა და სამხედრო სამკურნალოთათვის.

ნება-ყოფლობითის შემოწირულებათა მისაღებად და დასამზადებელ ნივთთა მასალის შესაძენად შედგენილ იქმნა კომიტეტი გენერალ-მაიორის თ-დის ივანე სულხანის-ძის ჭავჭავაძის თავსმჯდომარეობით. წევრად იქმნენ არჩეულნი: თ-დი ლევ. გ. ჯანდიერი, გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი, გ. ს. განძიელი და დ. ზ. სარაჯიშვილი.

იმ ქალებს, რომლებსაც სურვილი აქვთ ნივთების დამზადებაში პირადის შრომით მონაწილეობა მიიღონ, სთხოვენ მიჰმართონ ქალთა კომიტეტის სახელოსნოს (გრიბოედოვის ქუჩა, სახლი კნ. ქობულაშვილისა) დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე.

შეწირულებანი მიიღება მხოლოდ თავსმჯდომარის და კომიტეტის წევრთა მიერ.

თავსმჯდომარე კომიტეტისა, თ. ივანე სულხანის ძე ჭავჭავაძე, მიიღებს შემოწირულებასა და იმათაც, ვისაც მასთან საქმე ექნება, ყოველ-დღე 10—12 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბითობით და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

თ. ლ. გ. ჯანდიერი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის სახლში, ხოლო სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გენერალ-მაიორი ქრ. ი. მამაცაშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

გ. ს. განძიელი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე სამეურნეო ბანკში, ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

დ. ზ. სარაჯიშვილი მიიღებს ყოველ-დღე 10—3 საათამდე თავის კანტორაში (ოლგის ქუჩა), ხოლო სამშაბათობითა, ხუთშაბათობითა და კვირაობით—დეპუტატთა საკრებულოში 1—2 საათამდე.

(30—6.—1).

ფოთის სამარხის კასის

გამგეობა

აუწყებს ბ-ნთ წევრთ, რომ კვირას, ამა წლის 7 მარტს, ფოთის ქალაქის გამგეობაში დანიშნულია

საზოგადო კრება

კასის წევრთა, რომელმაც უნდა განიხილოს ანგარიში 1903 წლისა, აირჩიოს თანამდებობის კაცნი, განიხილოს საქმე გამგეობის წევრთათვის გასამრჯელოს დანიშვნისა და მსჯელობა იქონიოს საჩივრების შესახებ, რომ კასამ ფული არ მისცა დასამარხად იმ წევრის ჭირისუფალთ, რომელმაც თავი მოიკლა.

(3—6—2)

იოსებ იმედაშვილისაგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო, «ცხოვრების სარკის» (პიესების კრებულის) მე-III ნაწილის ბეჭდვა შეჩერებულია; დროებით შეჩერებულია აგრეთვე «უცხო სიტყვათა ლექსიკონის» ბეჭდვაც. წიგნის ბეჭდვა თავის დროზე დაუყოვნებლივ დაიწყება და საჩქაროდ დამთავრდება. ვინც «ცხოვრების სარკეს» ეხლავე დაიგვებს, მანეთად დაეთმობა, მერე-კი მეტი ეღირება.

ადრესი: Тифлисъ, Георгіевская ул.,
домъ Арджеванидзе.
Аннѣ Николаевнѣ Имедашвили.
ანნა იმედაშვილისა.

(5—უ. 1)

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში
ჩემი თავგადასავალი.
ჯაკოსი
ფასი 1 მანეთი.

ქართველნი მკურნალნი:

გედევანიშვილი მიხეილ,—ჟორდანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. საღამოს 6—7 საათამდე.

გძელიშვილი კონსტანტინე ელისაბედის ქუჩა. სახლი მიღოვისა. № 5

გაბაშვილი გრიგოლ,—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

ვაჩაძე სპირიდონ. პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

დიასამიძე ალექსანდრე—მიხეილოვის პროსპექტი, № 123.

ექიმი
ვ. დ. ლამბაშიძე
ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.
ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ხიხინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე.

ა. ნ. დიასამიძე. 11—12 საათ.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მონინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვების- და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8   ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ხ. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასაჟს, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памяти. Воронцова.

წლ.

ომის ამბები

დეპეშები და წერილები.

კორეის საერთაშორისო პოლიტიკა.—იაპონელების ჯარის მოძრაობა.—საფრანგეთის თავდაჭერილობა.—სახალინი.—ახლო აღმოსავლეთი.

იაპონიის ელჩს ვენაში უთქვამს, რომ კორეა-იაპონიის ხელშეკრულობა ევროპის მწერლობაში რიგიანად არ არის განმარტებული: «ეს ხელშეკრულობა სრულიად არაფერს არ ავალებს იაპონიის შესახებ და, რაც უფრო საყურადღებოა, კორეა ომში მონაწილეობას არ იღებს რუსეთის წინააღმდეგ. კორეის მთავრობას ხომ ომი არ გამოუცხადებია რუსეთისათვის და კორეის ჯარი არ დახმარებია იაპონელებს. მცირე მიზეზსაც-კი არ მისცემს რუსეთს, რომ მტრად ჩასთვალოს. საგარეო პოლიტიკა კორეისა სრულიადაც არ შეიცვალა ხელშეკრულობის გამო. ხელშეკრულობა მხოლოდ იაპონიასა სდებს ვალს, კორეის შინაური მშვიდობიანობა დაიცვას. ამას გარდა, იაპონიამ იკისრა სამეფო დინასტიისა და კორეის სახლობის უზრუნველ ყოფნა. იაპონია შეჰპირდა კორეას დაეხმაროს შინაურ რეფორმების შემოღებაში. კორეის დამოუკიდებლობა და მის სამფლობელოს ხელუხლებლობა,—აი რა არის უმთავრესი საგანი ხელშეკრულობისა. კორეის ხელშეკრულობანი უცხო სახელმწიფოებთან კვალად ძალაში არის. რასაკვირველია, კორეა განთავისუფლდა იმ მოვალეობისაგან, რომელიც დააკისრეს რუსეთმა და იაპონიამ 1898 და 1900 წლებში ხელშეკრულობის ძალით, რადგან ამ ხელშეკრულობის დამდები სახელმწიფოები ეხლა ერთმანეთს ეომებიან. ამრიგად, საერთაშორისო დამოკიდებულება კორეისა უცვლელია. მე ამას იმიტომ ვიმეორებ, რომ რუსეთის მწერლობას შემცდარი დასკვნა გამოჰყავს, ვითომც კორეა მეომარ სახელმწიფოდ უნდა ჩაითვალოსო. ამასთანავე, საჭიროდ მიმაჩნია აღვნიშნო რუსეთის მწერლობის შემცდარი აზრი, ვითომც ინგლისი დამნაშავე იყოს რაშიმე. გარწმუნებთ, რომ ინგლისის მთავრობა ძალიან თავდაჭერილად და დარბაისლურად მოქმედებდა და ისეთი არაფერი ჩაუდენია, რაც იაპონიას წააქეზებდა და გაბედულ ნაბიჯს გადაადგმევინებდა. («ნ. ვ.»).

ჩრდილოეთ კორეაში მალე გაზაფხული დადგება და თან მოჰყვება წყალდიდობა, გზების გაფუჭება და ჩვეულებრივი სახადცხელება. მალე ცინამპოს ნავთსადგური ყინულისაგან განთავისუფლდება. ამას ელიან იაპონელები და კორეის სხვა ნავთსადგურებში ჯარი აღარ გადაჰყავთ. (იქვე)

ტოკიოდგან დეპეშით ატყობინებენ გერმანულ გაზეთებს, რომ იაპონელების ჯარი ჩემულპოს აღარ ჩერდება და პირდაპირ ცინამპოს მიდის, სადაც ნავთსადგური ყინულიდგან განთავისუფლდაო. იქიდგან ანჯუმდე, სადაც, როგორც ჰფიქრობენ, რუსის ჯარი უნდა იდგეს, ერთის კვირით ნაკლები სავალია, ვიდრე სეულიდგან. ამ დღეებში იაპონელების ჯარი ნიუ-ჩუანსა და ბიცზივოსთან გაჩნდება, ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის აღმოსავლეთით. მაშინ იაპონიის ჯარი ორთავე მხრიდგან დაიძვრის ხაიჩენისკენ და მესამე კორპუსი სამხრეთისაკენ წავა, რომ პორტ-არტურის ჯარი ჩამოჰრას და გაიცალკევოს. („რ. ვ.").

იაპონიაში საპარლამენტო არჩევნები გათავებულია. არჩეულია: 130 კონსტიტუციონალისტი, 96 პროგრესისტი, 20 იმპერიალისტი, 26 უმწვერვალესი მემარცხენე და 107 დამოუკიდებელი, რომლებიც არც ერთს დასს არ ეკუთვნიან. მომეტებული ნაწილი მთავრობის მომხრეა.

მთავრობამ ბრძანება გასცა. რომ სამხედრო ტყვეებს ლმობიერად მოეკიდნენ. «ვარიაგის დაჭრილი და დატყვევებული მეზღვაურნი, რომლებიც იაპონელების საავადმყოფოში იწვნენ, ყველანი მორჩნენ. (იქვე).

იაპონიის გარეშე საქმეთა მინისტრად ნამყოფი ნიუ-იორკში მისულა და სცდილობს იაპონიისათვის ფული ისესხოს. ამერიკელი ჟურნალისტები შემოჰხვევიან და გამოუკითხავთ შორეულ-აღმოსავლეთის საქმეთა ვითარება. ერთის ჟურნალის, სტისათვის სუსმათსუს უთქვამს,—საფრანგეთს იაპონიასთან კეთილი განწყობილება აქვს და ისეთს არას სჩადის, რომ ეჭვი ვიქონიოთ, ვითომც იაპონიის წინააღმდეგ ჰფიქრობდეს რასმე. მაინცა-და-მაინც,

თუ საფრანგეთი თავისის ფლოტით იაპონიაზე გაილაშქრებს, იაპონიაც ძალა-უნებურად თავისის ფლოტით წინ მიეგებება. მეორე ჟურნალისტისათვის უთქვამს,—«ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ, რომ საფრანგეთთან მშვიდობიანად ვიყოთ და ჩვენ ბრალს ვერავინ დაგვდებს, თუ რომ საფრანგეთმა რუსეთის გულისათვის ჩვენ მტრად დაგვსახა». (იქვე).

—

პეტერბურგში იმყოფება ამ ჟამად სახალინელი მეთევზე კრამარენკო, რომელსაც საინტერესო ცნობები და ამბები მოუტანია სახალინის შესახებ. კრამარენკო 10 წელიწადია სახალინზე იმყოფება და მეთევზეობითა სცხოვრობს. აღებ-მიცემობა უმთავრესად იაპონელებთანა ჰქონია, ქალაქ ხაკოდატეში. მომუშავედ იაპონელები ჰყოლია. თუმცა რუს მუშაზედ ერთი ორად მეტს ფასს ვაძლევო, მაგრამ იაპონელი ამტანია, ზღვაზე დახელოვნებულია და თავისს მოვალეობას პატიოსნად ასრულებსო. თევზს იაპონელები ჰყიდულობენ, როგორც საჭმელად, ისე მიწის სასუქად, გასაპატივებლად.

კრამარენკოს შეუნიშნავს, რომ იაპონელებს თვალი უჭირავთ სახალინის კუნძულზე და მოწადინებულნი არიან დაიბრუნონ როგორმე, რადგან სახალინზე კარგი ტყეებია და ქვა-ნახშირის მადნებიო. უკანასკნელ 2—3 წელს იაპონიის კონსული, რომელსაც ბინა კორსაკოვსკში აქვს, დიდის ყურადღებითა და ყოველის მხრივ იკვლევდა სახალინის კუნძულს. ვითომდა იაპონელთა სათევზაო ადგილებისა და სამრეწველოების დასათვალიერებლად, კონსული ერთს მხარეს გაემგზავრებოდა და თანაშემწეს, სამხედრო აფიცერთაგანს—მეორე მხარეს გაჰგზავნიდაო. იმ დროსაც-კი მოგზაურობდნენ, როდესაც თევზის ჭერა აღარ შეიძლებოდა და სამრეწველოებში მუშაობა შეჩერებული იყო. თითქმის ყოველ მოგზაურობის შემდეგ, კონსულს იაპონიაში იბარებდნენ. ეტყობოდა, რომ კონსულს მარტო ვაჭრობის დათვალიერება არ აკმაყოფილებდა.

კრამარენკო დარწმუნებულია, ომი ეხლა-კი არადა, ზაფხულში რომ დაწყებულიყო, იაპონია პირველად სახალინს დაეცემოდა და დაიჭერდა, რადგან სახალინი თითქმის სრულიად არ არის გამაგრებული. («პ. ვ.»).

—

ახლო-აღმოსავლეთი.

როდესაც რუსეთ-იაპონიის დიპლომატიური ლაპარაკი შესწყდა და თან ზარბაზანიც გავარდა, ყველას ეშინოდა—ომის ველიდგან ცეცხლი ბალკანეთის ნახევარკუნძულს არ გადმოსწვდესო. ყველას ეგონა, რომ რუსეთი, შორეულ-აღმოსავლეთის საქმეებში გართული, აქ, ახლო-აღმოსავლეთს, ყურადღებას ვეღარ მიაქცევს და შესაძლოა, საქმე უფრო გამწვავდესო. ეს საფიქრებელი იყო მით უმეტეს, რომ მაკედონიის კომიტეტები დამშვიდებას არ აპირობდნენ და პირიქით, იმუქრებოდნენ, გაზაფხულზე კვლად ავაჯანყებთ ქვეყანასო; ბულგარიასა და ოსმალეთსაც თავიანთი თავმოყრილი ჯარა დაეპირდაპირებინათ და კინაღამ თოფიც გავარდა; ცალკე ევროპის სახელმწიფონიც, და უპირატესად ინგლისი რაღაც მზადებაში და ფართი-ფურთში იყვნენ, ცნობილ გმირის ჯუზეპპე გარიბალდის შვილიც 10,000 ჯარის კაცს ამზადებდა ქრისტიანეთა დასახმარებლად. რითი გათავდა ყოველივე ეს დავი-დარაბა?

ოსმალეთი და ბულგარია მორიგებულან და ხელშეკრულობა დაუდვიათ.

ოსმალეთმა და ბულგარიამ თავიანთი ჯარები უნდა საზღვრებს მოაშორონ, წინანდელი წესი აღადგინონ, ოსმალეთმა უნდა აპატიოს დანაშაულობა მაკედონიის მოძრაობის დროს აჯანყებულთ და სხვ.; ეს ხელშეკრულობა ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ეს ამბავიც დეპეშით მისვლიათ სატახტო ქალაქის გაზეთებს და დიდად გაჰახარებიათ. რამ გამოიწვია ასეთი მოულოდნელი მორიგება ორის გაბრაზებულის მტრისა?

ხონთქარი დაარწმუნესო,—ამბობს გაზეთი «რუს. ვედ.»,—რომ ბულგარიასთან მორიგება აუცილებლად საჭიროა და საჩქარო ევროპიელ სახელმწიფოთა დასამშვიდებლადო, და ხონთქარსაც მეტი რა გზა ჰქონდა, რომ არ დათანხმებულიყო.

რეფორმების შემოღებას ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზე ოსმალებმა მრავალი დაბრკოლება წამოუყენე': უცხო აფიცრები დიდს ჯამაგირს თხოულობენო, გამოსარკვევია წესი ამ ჯამაგირის მიცემისა, აფიცრების სამსახურის ადგილი, ტანთსაცმელის ფორმა და სხვაო. როდესაც უკანასკნელად სახელმწიფოების რწმუნებულნი შეიკრიბნენ, ავსტრიის დელეგატმა შემდეგი განაცხადა: რადგან ალბანია დაუწყნარებელია და რეფორმებს ეწინააღმდეგება, ის ადგილი, სადაც ალბანელები სცხოვრებენ, სრულიად გამოვრიცხოთ ჩვენის პროგრამიდგანაო. ალბანელები სცხოვრობენ კოსსოვისა და მონასტირის ვილაიეტებში და ამბოხება სწორედ ამ ალბანელებმა გამოიწვიეს თავგასულობით. სწორედ ამ ვილაიეტების ქრისტეან მცხოვრებთათვის იყო მიურცშტეგში შემუშავებული რეფორმების პროექტი და თუ ამ პროექტს უარ-ჰყოფდა ავსტრია, არავის ეგონა. ამ ამბავმა დიდად გააოცა სახელმწიფოთა წარმომადგენელნი და თვით ოსმალნიც. ეს იმას ნიშნავს, რომ რეფორმების საქმე თვით ალბანელებს მიენდოს და ქრისტიანები იმათ სამოწყალოდ დარჩნენ. ამას გარდა, რეფორმებს ის აზრიცა ჰქონდა, რომ ოსმალთა თავგასულობა და სიამაყე ბალკანეთის კუნძულზე შეესუტებინათ. აქამდე რეფორმებს მხოლოდ ოსმალეთი ეწინააღმდეგებოდა, ეხლა-კი ავსტრიაც მიემხრო. რასაკვირველია, ოსმალეთმა თავი უფრო მაღლა აიღო და პირდაპირ განაცხადა, რომ 200 ავსტრიელ აფიცერთაგან მხოლოდ 40 აფიცერს მივიღებ სამსახურში და ისიც იმათ, რომელთაც ბოსნია-ჰერცოგოვინიაში უმსახურნიათო. იტალიის კარაბინერების მიღება სრულიად უარ-ჰყო. რაც შეეხება რუსეთის აფიცრებს ოსმალეთი მათს რიცხვს, რაღა თქმა უნდა, ძალიან შეამცირებს. სახელმწიფოების წარმომადგენელნი სახტად დარჩნენ, ავსტრიის დელეგატის წინადადება რომ მოისმინეს; აღარ იციან, რა გზას დაადგნენ. («რ. ვ.»).

ტფილისი

⁂ 21 მარტს დანიშნულია საკრედიტო საზოგადოების წევრთა კრება. კრებამ ბანკის მმართველი უნდა აირჩიოს.

⁂ დღეს, 27 თებერვალს, დანიშნულია კრება ქალაქის საფინანსო კომისიისა. კომისია მოილაპარაკებს ქალაქის პირველდაწყებით სკოლებთან პარალელურ კლასების დაარსების შესახებ.

⁂ ფუნიკულერის გზას მამა-დავითის მთაზედ ძალიან საჩქაროდ აკეთებენ. ამ ჟამად ბევრი მუშები ჰყავთ დაქირავებული. სააქციონერო ამხანაგობას, რომელიც ფუნიკულებს აკეთებს, კრება ექნება 28 თებერვალს ზოგიერთ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლად.

⁂ ტფილისის მეპურეებმა სთხოვეს ქალაქის გამგეობას, გამომცხვარ პურზე ფასი მოგვიმატეთ, რადგან ძალიან გაძვირდა ფქვილიო. ამ თხოვნას გამგეობა ჩქარა განიხილავს

⁂ ქალაქ კოვნოში ოსმალეთის ქვეშევრდომს გუხმაჩაძეს სასყიდელი უძლევია კურსკის პოლკის ჯარისკაცთათვის—ვასილ მირეშვილისა და სვიმონ კეჩხუაშვილისთვის, სახელმწიფო თოფები მოიპარეთ და მომიტანეთო. ჯარის კაცნი კავკასიელნი ყოფილან. ისინი გარეგნულად დასთანხმებიან, მაგრამ მაშინვე წასულან და ყველაფერი უცნობებიათ უფროსისათვის. გუხმაჩაძე გაუჩხრეკიათ და უპოვიათ სამხედრო იარაღები. მირეშვილისა და კეჩხუაშვილისათვის გენერალს სუხომლინოვს მადლობა გამოუცხადებია და თითო 5 მანეთით დაუსაჩუქრებია. («სელ. ვესტ.»).

⁂ ფოსტა-ტელეგრაფის უმთავრესი სამმართველო აცხადებს, ფოსტით უფასოდ გაიგზავნება შორეულ-აღმოსავლეთში წერილები და ყველა ის საგნები, რომელიც ექვს გირვანქას არ აღემატებაო.

⁂ ქალაქის საკრედიტო ბანკის გამგეობას შეუდგენია ბანკის მოქმედების ანგარიში 1903 წლის განმავლობაში და საზოგადო კრებას წარუდგენს განსახილველად და დასამტკიცებლად. როგორც ამბობენ, საზოგადო კრება მოილაპარაკებს ბანკის ახლანდელ გამგის ბ-ნ ა. იოანნისიანის იუბილეის დღესასწაულის შესახებ. იოანნისიანი 25 წელიწადია მსახურებს ამ ადგილზედ და წელს ავადმყოფობისა გამო, სრულიად ანებებს თავს.

⁂ 24 თებერვალს ქუთაისში გაირჩა საქმე ელიზბარ ჭოლოკავასი, თომა კაშიბაძისა და ლუკა გველესიანისა, რომელთაც თავ. წულუკიძის მოკვლა ბრალდებოდათ. სასამართლომ ელიზბარ ჭოლოკავასა და თომა კაშიბაძეს ყოველ უფლებათა ჩამორთმევით, 12 წლით კატორგაში გაგზავნა მიუსაჯა, გველესიანი-კი სრულიად გაამართლა. გველესიანს და კაშიბაძეს იცავდა ნაფიცი ვექილი თავ. მ. ფადავა, ჭოლოკავას—ნაფიცი ვექილი თ. ნიჟარაძე.

⁂ აბრეშუმის მოთხოვნილება საზღვარგარედ, როგორც გადმოგვცეს, დიდია. ამ გარემოებით სარგებლობენ მხოლოდ ჩარჩები, რომელნიც ჩალის ფასად ყიდულობენ სოფლელთაგან აბრეშუმს და საზღვარ-გარედ გააქვთ გასასყიდად. ამხანაგობანი ჯერ-ჯერობით ჯეროვან დახმარებას ვერ უწევენ გლეხკაცთ, რომელნიც გაჭირვებისა გამო ჩარჩებს აძლევენ თავიანთ შრომას სულ მცირე ფასად. კარგი იქნება ამხანაგობათ მეტი ფხა გამოიჩინონ და გლეხკაცნი ამ განსაცდელს გადაარჩინონ წელს მაინც.

⁂ გორის მაზრის სამხედრო საკრებულოს საქმის მწარმოებელი ბ-ნი ყალაიჯაშვილი რამდენისამე დღის წინად დანით მოუკლავს მოსამსახურე ბიჭს.

⁂ ქალაქის გამგეობა მომავალ კრებაზედ განიხილავს თავად ჩერქეზიშვილის წინადადებას, რომელიც ნაძალადევში ქალაქის მიწის მეთვალყურეთა რიცხვის გამრავლებას შეეხება.

⁂ ქალაქის გამგეობას განუზრახავს ქალაქის ლომბარდში მოსამსახურეთა შტატი შეამციროს.

⁂ ტფილისში მცხოვრებ ბერძენთ ხელის-მოწერა გაუმართავთ ერთმანეთს შორის. მოგროვილი ფული გადაიდება შორეულ აღმოსავლეთში დაჭრილ მეომართათვის შემწეობის აღმოსაჩენად.

⁂ ქალაქის [illegible] ზოგიერთ დიდ ქუჩებს არწყვევ[illegible] ზოგი-კი უპატრონოდ აქვს მიტოვებ[illegible], რის გამოც ასეთ ქუჩებზე ისეთი მტვერი დგება ხოლმე, რომ კაცს თვალებს დასთხრის. კარგი იქნება ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქცეს.

⁂ ზოგიერთი ვაჭრები სულ თავს გავიდნენ: სანოვაგეს მამასისხლად ჰყიდიან. თუ უთხარით, ასე ძვირად როგორ იქნება გაყიდვაო, მოგიგებს, ომის გამო სანოვაგე გაძვირდა და ჩვენც ძვირად ვყიდითო. ნეტა როდის მოეღება ბოლო ამ უწესოებას?

⁂ სამკურნალო საზოგადოებას განუზრახავს მოკლე ხანში ლექტორნი გაჰგზავნოს სოფლად. ლექტორებმა სოფლელთ მდაბიურად უნდა აუხსნან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჰიგიენის თანახმად ცხოვრებას.

⁂ იმ კომიტეტმა, რომელიც ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ აირჩია შემოწირულებათა მისაღებად სამხედრო საჭიროებათათვის, გენ.-მაიორის ი. ს. ჭავჭავაძის თავმჯდომარეობით, მიიღო ძმ. ზუბალაშვილთაგან შემოწირული 10,000 მან. და დ. ზ. სარაჯიშვილისაგან 2,000 მან.

⁂ აჯამეთის ვიწრო ქუჩაზე, 2 თებერვალს, საღამოს 8 საათზედ, მელანია ბანქეტოვის სახლიდგან, ქურდებმა მოიპარეს ავანზედ გადაკიდებული წამოსასხამი, უაბალახები, ხალათები და სხვ., სულ 35 მანეთად დირებული. ეს მეორეჯერაა ქურდებისაგან ამ სახლის გაქურდვა. თუმცა არა ერთხელ განუცხადეს პოლიციას, მაგრამ ეს უკანასკნელი ყურებსაც არ იბერტყს. სახლში მეოვ სტუმრებს რომ ქურდები არ შეენიშნათ, სულ გაალაგებდნენ, რაც რომ სამზარეულოში სპილენძეულობა და ჭურჭლები იყო, მაგრამ გაიგეს თუ არა, რომ სახლში მეოთვ შეატყვესო, მაშინვე მოჰკურცხლეს და ერთი ხალათი ალაყაფის კარებთან, ეზოში, დაჰკარგნიათ. კარგი იქნება, ყურადღება მიაქცეს ამ გარემოებას, ვისიც ჯერ-არს.

ჩვენებური ამბები

დიდი-ჯიხაიში. «ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის» აზრი იყო და, ვფიქრობთ, აწიც უნდა ის იყოს, რომ რაც შეიძლება, მეაბრეშუმეებს ყოველ მხრივ დახმარება გაუწიოს. ვერ ვიტყვით, რომ ამხანაგობას დღიდან დაარსებისა შეცდომები არ მოსვლოდეს, მაგრამ მას შემდეგ, რაც ამხანაგობის წესდება შეიცვალა და გამგეობა განახლდა, ვფიქრობდით, შეცდომები თან და-თან შემცირდებოდა და ამხანაგობის საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგებოდა. სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით ამას ვერ ვამჩნევთ.

ავიღოთ თუნდ თესლის გაყიდვის საქმე. დღიდგან დაარსებისა, ამხანაგობამ იმისთანა ნდობა დაიმსახურა მეაბრეშუმეთა, რომ იშვიათია იმისთანა მეაბრეშუმე, სხვა-

ფელეტონი

დალატი*)

(17 დეკემბრიდგან 31-მდე)

«მთელი რუსეთი აალაპარაკა... ზოგიერთ ქალაქებში ოც ოც-და-ათჯერ წარმოადგინესო... თითქმის ყველა ევროპიულ ენებზე გადათარგმნეს და თარგმნიან დღესაცაო... დგება განსაკუთრებული დასი, რომელიც ფიქრობს ევროპის ყველა ქალაქები შემოიაროს და საზოგადოებას «დალატი» აჩვენოსო»...

აი, ესა და მრავალი ამისთანა ხმები გვესმოდა თავ. სუმბათაშვილის «დალატის» შესახებ და ამის შემდეგ რა გასაკვირველია, რომ მე—შვილს იმ ქვეყნისას, რომლის წარსულის სვე-ბედმაც ასეთი ყურადღება დაიმსახურა განათლებულის კაცობრიობისა თავ. სუმბათაშვილის «დალატის» წყალობით, რაც უნდა გარეწარი ვყოფილვიყავ, გული ამიტოკდებოდა და მოუთმენლობის ციებ-ცხელება შემდგომოდა, ვიდრე ველირსებოდი «დალატის» წაკითხვას.

სანამ პიესის რუსულ ორიგინალს ვიშოვიდი, «ივერიამაც» იწყო მისი თარგმნა, და მეც სამშობლოს სულის კვეთების მოსმენა მშობლიურსავე ენაზე ვამჯობინე.

«კვიცსაც გავხედნი და ცოლის დასაც ვნახავ»-ო,—ამბობს ქართული ანდაზა; და მეც, როცა ორგინალურს ნათარგმნის წაკითხვა ვარჩიე, ვამბობდი: პიესასაც გავიცნობ და მთარგმნელის უკვე ცნობილი «ქართულის» ქართულით სულსა და გულს დავიტკბობო.

არჩევანში არ მოვტყუვდი: «დალატის» «ივერიელი» მთარგმნელის ქართულმა-ქართულმა ჩვენს მოლოდინსაც გადააჭარბა. ვჰვობ, რომ თვით ორიგინალში იმდენად გულის წარმტაცი და მომხიბლველი იყოს პიესით ის პოეზიის ალსავსე ადგილები, რომელიც თარგმანში ასეთის ძლიერებით წვდება მსმენელთ გულის სიღრმემდე.

დიაღ, წავიკითხე. მერე როგორ? 17 დეკემბრიდგან 31-მდე ყოველ დღე ხელის კანკალით და გულის ფანცქალით ვეცემოდი ხოლმე ადგილიდგან ჩვენამდე მოღწეულს «ივერიის» ნომრებს.

ვკითხულობდი გატაცებით, თავდავიწყებით. მხიბლავდა პიესის პოეზიით ალსავსე პოეტურივე ენით გადმოცემული ადგილები. ვიყავ შთანთქმული მხოლოდ და მხოლოდ კითხვის პროცესით, წინასწარ დარწმუნებული, რომ ვკითხულობ დიდებულს ნაწარმოებს, რომელმაც მთელი ქვეყანა გააკვირვა, რომელიც იმდენად დიდებულ რამე მქონდა წარმოდგენილი, რომ მის ღირსება-ნაკლულევანებათა კრიტიკულის თვალით გასინჯვა ჩემის მხრივ მეტიჩრობად მიმაჩნდა.

წავიკითხე... ნათლად მიდგანან თვალწინ პიესის გმირები... უნაკლებოდ მახსოვს მისი ძლიერი მომენტები... ვხედავ, რომ მტარვალი დამარცხდა... სამშობლომ გაიმარჯვა... საქართველო თავისუფალია. მაგრამ... მე? რა მემართება?! რად ჩემი გულიც შვებას არა გრძნობს? იქნებ ზეინაბის სიკვდილმა დამიწყლულა გული?!.. მაგრამ არა! ზეინაბისადმი სიმპატია მე ოდნავაც არ განმიცდია პიესის კითხვის დროს... პირ-იქით, მე ის უკვე გამძულდა... მე იმას უკვე რაღაც დემონად ვთვლი და არა ქართველ დედად და საქართველოს დედოფლად... როგორ შემებრალება მე ზეინაბი, როდესაც ის ოცის წლის განმავლობაში სულ იმას ჩასჩიჩინებს თავისს მბრძანებელს მტარვალს:—«კარგად ვიცნობ ჩემს ხალხს, ჩემს ცბიერ მოძმეთ... ტყუილად არ გვევედრები იმათ გასრესას, იმათის სისხლის დადვრას და დამხობას!.. უნდა აწამო, იმათ ცბიერ გულს მხოლოდ მაშინ მოიგებო» და სხვა. არა და არა! რაც უნდა კეთილი განზრახვა ჰქონდეს ზეინაბს, ამ სიტყვებს მაინც ვერ შევუნდობ, ვერ ვაპატიებ ამ იეზუიტურ ქცევას, მით უფრო, რომ ის ოცის წლის განმავლობაში მხოლოდ მწამებელია ხალხისა და მის განსათავისუფლებლად კი არავითარ თადარიგს არ იჭერს. არამც თუ თვითონ ემზადება, ისიც კი არ იცის, თუ ვინმე ჰფიქრობს ქვეყნის განთავისუფლებაზე. აკი გაკვირვებით ეკითხება ისახარს:—«ვინ არის ეს ხალხიო», როდესაც ისახარი მოუთხობს მეჩეთის დანგრევის შესახებ! ოთარსაც ხომ იმას ეკითხება:—«რა ხალხია ის ხალხი, რომელიც შენს ჯარს შეადგენსო». თუ ამის მეტად არ იცნობს ზეინაბი საქართველოს ხალხს, საიდგანა სჩანს, რომ ის ემზადებოდა სამშობლოს განსათავისუფლებლად! რისთვისღა აქეზებდა სულეიმანს ქართველების ამოსაწყვეტად! ვითომ ჩემზე იჭვი არ აიღოსო თუ? მერე რა, თუ მაზედ იჭვნეული გახდებოდა მტარვალი?.., მოჰკლავდა მას... თუ ძალა იყო ხალხში მისს განზრახვას დედოფლის სიკვდილი ხელს ვერ შეუშლიდა: პირიქით, შეიძლება უფრო მოეგო საქართველოს, რადგან მტარვალს გვერდით არ ეყოლებოდა საქართველოს დედოფალი, რომელიც ერთის მხრით მით იყო მავნებელი, რომ მისს მაგალითს მტრისადმი მიდგომაში სხვებიც ჰბაძავდნენ. ოთარმაც ხომ «დედოფლის კვალს მიზდევ იმ შავ-უკუღმართ დამის ბრძოლის შემდეგ». საბრალო ოთარ! შენ «გახსოვს!.. გახსოვს!.. ადექ უსიტყვოდ... სასიკვდილოდ ფორთხვით წახველ... და რა მოხდა მას შემდეგ, აღარ გახსოვს... რამდენისამე დღის შემდეგ გონს მოხველ, იცის უფალმა, დედოფლისთვის იბრძოდი... სანამ არ გაიგე, რომ ის თამარ»... და როდესაც ეს გაიგე, მაშინაც არ იცოდი, საბრალოვ, რომ თამარ დედოფალი ოცის წლის განმავლობაში მარტოოდენ ქართველების ჟლეტის მეტს არაფერს იზრუნებდა ქვეყნისათვის, თორემ ამის გულთმისანი რომ ყოფილიყავ, იქნებ თამარის ჰარამხანაში ყოფნის გაგების შემდეგ არ მიგედევნა მისი კვალისათვის... დიაღ, ოთარ! შენ მისდიე დედოფლის კვალს, შენთან სხვებმაც. ამ მხრით ხალხის ერთობისათვის საზარალოა დედოფლის სიცოცხლე, მავნებელია მისი სიცოცხლე იმ მხრითაც, რომ ის ოცის წლის განმავლობაში ჟლეტს ქართველებს, მუსრს ავლებს ხალხს სრულიად უაზროდ. ასე წარმოიდგინეთ, ისიც-კი არავინ იცის (ისახარისა და ანანიას გარდა), თუ დედოფალი რამე სასიკეთოს ფიქრობს ქართველობისათვის. არ იცის ეს თვით საბამაც: «ჩვენი მტერი ჩვენკენ არისო?!—გაოცებით ეკითხება ანანიას და თუ საბამ, გესმით, თუ საბამ არ იცის დედოფლის განზრახვა, მაშ ვინღა უნდა იცოდეს?!! მაშ ვისი იმედი აქვს დედოფალს? საკვირველია! ასე «თვალხუჭიაობით» ქვეყნის განთავისუფლებაზე ოცნება... არა, ამისთანა «კეკე-მალიობის» მოთამაშე გმირის სიკვდილი მე გულს არ დამწვავს.

მაშ რის მიზეზია, რომ პიესის კითხვა გავათავე, ამ მხრით სურვილი ამისრულდა (უბრალო სურვილის ასრულებაც ხომ სიამოვნებას აგრძნობინებს გულს), ვხედავ, სამშობლომ გაიმარჯვა და მე-კი იმგვარად მიმძიმდება გული, თითქოს რაღაც დიდი იმედი გამცრუებოდეს! ზეინაბის სიკვდილს ხომ არ დაუწვავს გული და ეგ არი... მაშ იქნება ტახტის მემკვიდრე რომ მოგვიკლეს, იმან დამაღონა! ყურს ვუგდებ ჩემს გულის თქმას... დიაღ, მწყენია უსუსური ბავშვის ბრძოლის ველიდგან მომაკვდავად შემოტანა, მაგრამ ეს მაინც არ უნდა იყოს მიზეზი ჩემის გულის ამრიგად დადუნებისა... განა არ ვიცი, რომ ბრძოლა და გამარჯვება უმსხვერპლოდ არ შეიძლება? ირაკლიც ხომ ერთი უბრალო მებრძოლია?.. მე ხომ იმის სიკვდილს ხალხის მეთაურის სიკვდილად არა ვთვლი! მე ხომ იმისთანა უსუსური ბალღისათვის არამც თუ ტახტსა და სკიპტრას, მამასახლისის ჯაჭვსა და ბეჭედსაც ვერ გავიმეტებ. და თუ ეს ვაჟბატონი, რომელიც რუქაიას ბრძანების «მზად არის დაივიწყოს დედ-მამაც, პატიოსნებაც, სჯულიც და სამშობლოც», ჰლამობს საქართველოს ტახტზე ასვლას, მაშინ მე მზადა ვარ, უარვჰყო ის სიბრალულიც, რომელიც აღმიძრა მისმა სიკვდილმა, როგორც კაცისამ.

მაშ, იქნებ ალრაზაყისა და ყარა-იუსუფის სიკვდილმა დამაღონა?.. (რამდენი სიკვდილი?!!). არა..., არც ეს! პირველის სიკვდილი ჩემში მხოლოდ ზიზღს იწვევს და მეორესი-კი—გაოცებას. ან რაში დასჭირდა, ნეტავი, თ. სუმბათაშვილს ამდენი სიკვდილი! ნუ თუ მარტო ეფექტებისთვის?! მაგრამ, დაიცა!... დიახ, ეფექტისათვის გადაჩეხა მტკვარში ყარა-იუსუფი, ვითომდა სოლეიმანის მხეცური, ბუნების დასახასიათებლად. აჩვენა, რაღა, საზოგადოებას, თუ როგორის გულგრილობით აკეთებინებს აღმოსავლეთის მტარვალი სარტალ-მარტალს მტკვარში ვეზირს, რომელსაც ვილაციდან

---

*) ვბეჭდავთ ამ წერილსაც ალ. სუმბათაშვილის პიესის შესახებ უცვლელად და თან ავტორის ბარათსაც, რომლითაც მან რედაქციას მოჰმართა: «შესაძლებელია, ამ წერილში ჩემ მიერ გამოთქმული აზრი წინააღმდეგი იყოს რედაქციის შეხედულებისა, მაგრამ მე მაინც იმედი მაქვს, წერილს უცვლელად ადგილს მისცემთ «ივერიის» ფურცლებზე». რედ.

გან თესლი იყიდოს, რადგან დარწმუნებულია, რომ ამხანაგობა არ მოატყუებს. სამწუხაროდ, ამხანაგობა ვერ აწვდის თავისს დროზე და მასთან ხელმისაწვდენ ფასად თესლს. ამიტომ, იძულებულია ჩარჩებს ჩაუვარდეს ხელში და ამხანაგობის თესლი მესამე და მეოთხე ხელიდგან იყიდოს ზედმეტ ფასად.

გამგეობამ წელს, ჩვეულებრივ, თესლის გაყიდვის შესახებ განცხადებანი დაბეჭდინა და, სხვათა შორის, ნათქვამია: «თხუთმეტ თებერვლამდის თესლი ელირება მისხალი ორ აბაზად, შემდეგ-კი მისხალზე ერთი შაური მოემატება და, ვისაც თესლის შეძენა სურს, გაიაფებას ნუ უცდის და ადრე შეიძინეთო». ამ განცხადებამ ჩვენამდე ვერ მოაღწია. მე, მაგალითად, ათ თებერვალს ჩამივარდა ხელში შემთხვევით. ბევრმა კი არ იცის, ამხანაგობამ დაიწყო თესლის გაყიდვა, თუ არა. მოგეხსენებათ, სოფლად ძლიერ ბევრმა კითხვა არ იცის და ამისათვის, არ იქნებოდა ურიგო, გამგეობას, რადგან ჩვენში განყოფილება აქვს და ამხანაგების რიცხვიც საკმაოა, მამასახლისისათვის დაევალებინა და ის საზოგადოებას გამოუცხადებდა. მას შემდეგ, რაც თესლის გაყიდვა დაიწყეს, მეტჯერ თუ არა, ორჯერ მაინც მოახდინა მამასახლისმა ყრილობა; რომ დაევალებინათ, გამოუცხადებდა საზოგადოებას: «ვისაც თესლის შეძენა სურს ამხანაგობისგან, მიჰმართოს მის აგენტს»; დღესაც არ ვიცით, როდის დაიწყო ამხანაგობამ თესლის გაყიდვა, რადგან განცხადებაში არ არის აღნიშნული. იქ მხოლოდ სწერია, ამხანაგობა დღეიდან იწყებს გაყიდვასაო.

თუ-კი მოუხერხებელია განცხადებათა სახლში მიტანა და დარიგება ყველასათვის, მაშინ მიღებულია საზოგადოდ იმისთანა გამოსაჩენ ადგილას გამოკიდება, სადაც ხალხი იყრის თავს, რომ წაიკითხოს და სხვასაც წაკითხული გადასცეს; ამისთანა ადგილი ჩვენში საკმაოა. მაგალითად, სამკითხველო, ბანკი, ქსენონი და სხვ. სოფლის სამართველოსთანაც არ იყო აკრული, ასე რომ, ამ განცხადებამ ჩვენ, დიდ-ჯიხიშლებს, ვერავითარი დახმარება ვერ გაგვიწია. გამგეობის გადაწყვეტილებით, მისხალი თესლი ამხანაგისთვის ღირს ორ აბაზად, სხვისთვის-კი ათ შაურად. კომისიონერებს დაეთმობათ ისე, როგორც ამხანაგებს. ამ გადაწყვეტილებით ისარგებლეს ჩარჩებმა და აგენტის აგენტებმა. ეს ნათლადა სჩანს შემდეგი მაგალითიდგან. კომისიონერმა გაიგო რა ამხანაგობის პირობანი,—იფიქრა, მოდი გამოვიტან ამხანაგობისაგან რამდენსამე კოლოფს, მოთხოვნილება ძლიერ ბევრია და გავყიდი ისე, როგორც გადაუწყვეტიათ. ესე იგი, ხუთ მისხლიან კოლოფზე მოვიგებ ათ შაურს. მართლაც, მას გამოაქვს სამასი კოლოფი და ერთს კვირაში ასაღებს. იგებს ხუთმეტ თუმანს (150 მ.), ძალიან ხეირია. სულ სხვანაირად იქცევა მეორე კომისიონერი. იმასაც გამოაქვს ამხანაგობისაგან თესლი, მაგრამ ჰყიდის არა ნაღდ ფულად, არამედ აძლევს ხელწერილით ნისიად და ეუბნება: ხუთ-მისხლიანი კოლოფი არა ამხანაგებზე ღირს ორ მანეთნახევრად (2 მ. 50 კ.); მე ნისიად მოგცემთ და ერთი აბაზი მომაგებინეთო, მომეცით აბრეშუმის მოწევის შემდეგ, ესე იგი, სამის თვის შემდეგაო. მეაბრეშუმე სიამოვნებით თანხმდება და იმან სრულიად არ იცის, რომ კომისიონერი იგებს მისგან არა ერთ აბაზს, არამედ სამ აბაზ-ნახევარს (70 კ.), ესე იგი ორ მანეთს ასესხებს თვეში ოც-და-სამ კაპეიკად. ზემოჩამოთვლილ მაგალითებიდგან ნათლად სჩანს, რომ ამხანაგობას კომისიონერები და სხვა ამისთანები ხმარობენ იარაღად ხალხის გაყვლეფის საქმეში. ეს-კი, მგონი, ამხანაგობის დანიშნულებას სრულიად ეწინააღმდეგება. ამ გარემოებამ გამოიწვია შემდეგი: 10 თებერვალს ამხანაგობის ნამდვილს აგენტს ჩვენში და არც კუხში თვითონ გამგეობას ერთი კოლოფი თესლი არა ჰქონდა. მედუქნეები-კი ჩვენს ბაზარში ამხანაგობისაგან გამოტანილ თესლს ჰყიდდნენ. ამნაირად, უმეტესობა ამხანაგთა უთესლოდა ვართ და ძალაუნებურად კომისიონერებს უნდა ჩავუვარდეთ ხელში. როგორც გავიგეთ, გამგეობას კიდევ გამოუწერია თესლი, მაგრამ მოსალოდნელია იგივე განმეორდეს, რაც ზევით მოგახსენეთ, თუ გამგეობამ არა იღონა-რა.

solo.

გურჯაანი. (სიღნაღის მაზრა). ძარცვა-ქურდობა. სოფლის უყურადღებობა, ვენახების კაფვა, თივის ბულულების წვა, ავაზაკობა და სოფლის სკოლის გარემოება.

ქურდ-ბაცაც-ავაზაკნი თითქმის მთელის ზამთრობით მცხოვრებს მოსვენებას არ მძლევენ და ყველაფერში ხელს უშლიან. ისე დღე ან ღამე არ გაივლის, რომ რაიმე ბოროტ-მოქმედება არ ჩაიდინონ და გზაში მიმავალნი არ გაძარცვონ. ნათქვამია, «სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გავიარე უჯოხოო», სწორედ ეს ანდაზა აქაურ სოფლის ზედამხედველებზეა გამოჭრილი. ესენი ამ გარემოებას კარგადა ჰხედვენ, მაგრამ სრულიადაც ყურადღებას არ აქცევენ. თივის ბულულები ხომ არ შეგვარჩინეს. თითქმის ყოველ დღე, კვირაობით, მინდორში გახშირებულია ასეთი ბოროტ-მოქმედება. ეს კიდევ არაფერი.

აქ ჩვენ ისეთი შესანიშნავი ყმაწვილ-კაცები გვყვანან, რომ ქება არ ეთქმით. ეს ვაჟბატონნი დღემდის დაფარულნი იყვნენ, მაგრამ დღეს-კი მათი დაფარვა აღარ შეიძლება: ეთი მათგანი ი. ნიბ—ძეა და მეორე ლ. ნ—შვილი. ესენი ამას წინად პასუხის გებაში იკმნენ მიცემულნი, ეხლა-კი დაფაშაშობენ მთელს სოფელში და ვისაც-კი რასმე შეაგულებენ, ვაი მათი ბრალი. აი ამ ვაჟბატონებს, ამას წინად, მოუნდომეს სოფლის მცველებად ამორჩევა. ხალხი გაიძახოდა: კაცო, ეხლა ხომ ცოტას მოგვასვენებენ და ამდენ თავხედობას აღარ ჩაიდენენო». სოფელმა ჩვეულებრივის ყაყანის შემდეგ, აირჩია ეს ვაჟბატონები ყარაულებად; რამდენიმე თვის ყარაულობის შემდეგ, ი. ნ—ძემ მოიწადინა, ერთის გლეხის ცოლს თავს დასცემოდა. წარსულ წლის ქრისტეშობისთვის ბოლო რიცხვებში, ე. ი. 20—25-ში, ი. ნ—ძემ თავისი განზრახვა უკვე აასრულა და ღამე, გლეხის ვახშმობის შემდეგ, ქმრის შინ არ ყოფნობის დროს, დაეცა საწყალ გლეხის ცოლს და დაუწყო კარებს რახუნი. ქალი, რადგან მარტოკა იყო, შეშინდა, კარი არ გაუღო და შემოუტია: ვინა ხარ, წადი, მომშორდიო!

ი. ნ—ძემ მოუმატა კარების რახუნს და შესძახა: «გააღე კარებიო». ამ ხმაურობაზე შეიკრიბნენ გარედ ქალის მეზობლები. ღამის რაინდმა ყურადღება არ მიაქცია. დაუწყო «ბერდანკის» სროლა. შეშინებული და გულ-გახეთქილი მეზობლები სახლში შეცვივდნენ. რაინდი მშვიდობიანად გამობრუნდა.

ეს არაფერი, ნეტავ აქაურ სკოლის მოწაფე მასწავლებელსაც ასე საუკუნოდ არ მისძინებოდათ. ნეტავ რა საშუალება უნდა ვიხმაროთ, რომ ჩვენის სკოლის მასწავლებელი გონს მოვიყვანოთ და ბავშვებს წესიერად ადევნოს თვალ-ყური?!

ბ-ნი მასწავლებელი იმას ცდილობს, ბავშვების მიღების დროს, ვის რა დასცინცლოს; ეს კიდევ არაფერი; მასწავლებელი მოწაფეს იყვანს არა მარტო გონების განსავითარებლად, არამედ მეეზოვედ და გასაგზავნ-გამოსაგზავნად. ამრიგად, თავისდა უნებურად ორ განყოფილებიანი სკოლა სამ განყოფილებად გადააკეთა და თავის მოწაფეებს მენაგვეობასა და «სტოროჟობას» პრაქტიკულად ასწავლის. ამასაც არა კმარობს, კიდევ ვექილობს და გლეხობა სულ მისკენ მიისწრაფვის.

ნ. გულიაშვილი.

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

«მოსკოვ. ვედ.»-ი სწერს:

1853-54 წლებში ჩვენ ომი გვქონდა ოსმალეთთან; სხვა სახელმწიფოებმა-კი, როგორც ეხლა, ომის დაწყებისათანავე გამოაცხადეს—სრულს ნეიტრალიტეტს დავიცვთო, ესე იგი, ომში არ გავერევითო. მაგრამ ყველას გვახსოვს, როგორ დაიცვა ევროპამ ნეიტრალიტეტი: როგორც-კი შეიტყეს, რომ ოსმალეთი მარცხდება და ჩვენ ვიმარჯვებთ, მაშინვე თითქმის ყველა «სანეიტრალო» სახელმწიფომ მხარი დაუჭირა ოსმალეთს და ჩვენ ომი გამოგვიცხადა; მაშინვე ინგლისი, სხვა სახელმწიფოების ჯარებთან ერთად, სევასტოპოლს მოადგა...

1877-78 წლებში რუსეთს ომი ჰქონდა ისევ ოსმალეთთან. მაშინაც სახელმწიფოებმა ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. ყველას ახსოვს ამ «ნეიტრალიტეტის» ამბები: როგორც-კი გავიმარჯვეთ, მაშინვე წინ გადაგვეღობა მთელი ევროპა; თუმცა ომი არ გამოუცხადებიათ, მაგრამ ბერლინის კონგრესზე მიგვიწვიეს, დიპლომატიურად გაიმარჯვეს და ამრიგად ომში დამარცხებულნი ჩვენ გამოვედით.

ამას გვეუბნება წარსული, და უნებლიედ იბადება კითხვა: ახლაც ისე ხომ არ იქნება? ახლაც ხომ არ დაგვეწირდება სხვა სახელმწიფოებთან ომი, როდესაც იაპონიაზე გავიმარჯვებთ? ახლაც ხომ შეტაკება არ მოგვიხდება «სანეიტრალო» სახელმწიფოებთან, როგორც ეს 1854 და 1878 წლებში მოგვიხდა?

მართალია, ჩვენი ახლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მაშინდელს არა ჰგავს; საფრანგეთთან ჩვენ ეხლა კავშირი გვაქვს შეკრული, გერმანიისა და ავსტრიის კეთილ-განწყობილებაში ეჭვი არ უნდა გვქონდეს, იტალია, ვგონებთ, ვერ გაბედავს ომში ჩარევას; მაგრამ ინგლისი კავშირით არის შეკრული იაპონიასთან და ამიტომ თვითონაც არ არის დარწმუნებული, რომ ნეიტრალიტეტის დაცვას მოახერხებს, თუ არა.

ხოლო თუ ინგლისი დაარღვევს ნეიტრალიტეტს, მაშინ ვინ არის თავმდები, რომ ჩვენ ყველასთან არ მოგვიხდეს ომი?! ცხადია ამიტომ, რომ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ... მართალია, ეხლა სევასტოპოლის ამბის განმეორება არ მოხერხდება; ჩვენ ეხლა შავ-ზღვაზე ძლიერი ფლოტი გვაქვს, თუმცა არც იმდენი, რომ შესაძლებელი იყოს 1,500 ვერსტის ნაპირების დაცვა; შემდეგ, თვით სევასტოპოლი ეხლა საშინლად გამაგრებულია ზღვიდანაც და ხმელეთიდანაც.

მაგრამ ეხლა, სევასტოპოლის გარდა, ბათუმი და ნოვოროსიისკიც არის შავზღვაზე; ეს ქალაქები-კი მთელის კავკასიის კარებია. ბათუმი უმთავრესი სიმაგრეა კავკასიისა; ამ ქვეყანას-კი ინგლისი ძალიან გულით ეტანება და სწორედ ამ კავკასიის ერთად-ერთი დამცველი სიმაგრე ბათუმი—საეჭვო ციხეს წარმოადგენს.

ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ ბათუმი მარტო ციხე-კი არ არის, არამედ ნავთის სამრეწველო ნავთ-სადგურია. ბათუმის შემოერთების შემდეგ, იქ სამხედრო სამინისტრომ ციხე ააგო, გზათა და ფინანსთა სამინისტროებმა-კი ნავთის ქალაქი, ნავთის აუზები, ნავთის საწყობები გააშენა. სამხედრო სიმაგრესთან ახლა კომერციული ნავთ-სადგური, ნავთის ქალაქი, ნავთის სამრეწველო მოსახლეობა, სადაც რუსებს თითქმის არაფერი არ ეკუთვნის და ყველაფერი უცხოელების, უმთავრესად ინგლისელების, ხელშია.

სანაპირო ტერიტორია ამფითეატრს წარმოადგენს, რომლის ზემოთა ნაწილში ციხეა და სამხედრო შენობები (სიმაგრეები, წამლისა და სურსათის საწყობები და სხვა), ქვემო ნაწილში-კი, ე. ი. ციხის ძირში—«ნავთის ქალაქია» თავის ქარხნებითა და ნავთის საწყობებით. თითო ქარხანასა და აუზში ყოველთვის ნავთი ასი ათას და მილიონ ფუთობითაა; სულ-კი ამ «ნავთის ქალაქში» 20 მილიონ ფუთამდე ნავთია ხოლმე. მერე იცით, ეს რასა ნიშნავს? აი რას: საკმაოა მცირე ნაპერწკალი, რომ ბათუმის ციხე მთელის თავისის შენობებითა და საწყობებით ჰაერში აავარდეს და ერთის წუთის შემდეგ ამ ციხის მარტო მოგონება-ღა დარჩეს. შეიძლება ასეთი ამბავი შემთხვევით მოხდეს; მაგრამ შეიძლება შემთხვევით-კი არა, განგებაც მოახდინოს ვინმემ. საკმაოა აღვნიშნოთ, რომ ბათუმი სავსეა უცხოელებით, უმთავრესად ინგლისელებით, სავაჭრო კანტორებითა და სააგენტოებით. ამასთან დიდი ნაწილი თვით «ნავთის ქალაქისა», იმის ქარხნებისა და ნავთის საწყობებისა, უცხოელებს ეკუთვნის, ამათ შორის ინგლისელებსაც.

ამ გარემოებასაო,—განაგრძობს გაზეთი,—მთავრობამ კარგა ხანია ყურადღება მიაქცია; აირჩია კომისია, რომელიც რამდენსამე წელიწადს მუშაობდა და რომელმაც გადასწყვიტა: «ნავთის ქალაქი» უთუოდ გადატანილ უნდა იქმნას ქობულეთშიო. თუმცა ასე გადასწყვიტეს, მაგრამ «ნავთის ქალაქი» დღესაც იქვეა და ბათუმი,

ეს სიმაგრე და დამცველი კავკასიისა, დამცველი ჩვენის ბატონობის ამ ქვეყანაში,—დღესაც იმავ საშიშარ მდგომარეობაში იმყოფება.

დასასრულ გაზეთი ამბობს,—დაუყოვნებლივ უნდა აღსრულდეს განზრახვა, «ნავთის ქალაქი» უნდა მოშორდეს სიმაგრეს, თუ გვინდა, რომ ბათუმმა შეიძლოს კავკასიაში ჩვენის სამფლობელოს დაცვაო.

რაღაც წერილი მიუღია, რომელშიაც ალაჰმა უწყის, რა სწერია, თუ მკითხველი «თითის-თითზე დაკვრით» არ იმისნებს, რომ ამ წერილში რაღაც ცუდი რამ უნდა ეწეროს, რადგან ყარა-იუსუფიც მტკვარში გადახტომის წინად ამჟღავნებს, რომ შაინშაჰი მოგზავნილი კაცები შენ, სოლეიმანს, თავს მოგჭრიანო... საკვირველი კია! რისთვის სჭრიან ამ სოლეიმანს თავს? ნუ თუ იმისთვის, რომ მან თავის მბრძანებელის, ირანის მფლობელის, ფეხთა მტვრად აქცია სინდი, ჯებელდი, საქართველო და მრავალი სხვა ქვეყნები?! ნუ თუ იმისთვის, რომ ის ყოველ წლობით უგზავნის მბრძანებელს ნობათად ათ-ათ საპალნეობით ოქრო-ვერცხლეს, ფერად-ფერად მერნებს და უკეკლუცესს ქალწულთ?! ეს სხვათა შორის.

დიაღ, იმას ვამბობდი, ყარა-იუსუფის სიკვდილში ბრალი არ უძევს სოლეიმანს, ის თ. სუმბათაშვილმა გადაჩეხა მტკვარში ეფექტისათვის.

რაც შეეხება ალ-რაზაყის სიკვდილს, ეს-კი საჭიროებამ მოითხოვა... განისვენე წიაღსა შინა მაჰმადისასა, ბატონის ერთგულობისათვის წამებულო ალ-რაზაყ! შენმა სიკვდილმა იხსნა მაშინ ჩემი სამშობლო. იკურთხოს შენი სისუსტე: შენ რომ ირაკლიზე უფრო ღონიერი გამომდგარიყავ და სასაკლაოვ ცხვარივით კისერი არ გაგეწვდინა მისთვის (უფრო-კი თ. სუმბათაშვილისთვის), ან რომ ფეხმარდი გამომდგარიყავ და გაქცეოდი, მაშინ, მგონია, დღესაც ირანის ხელში იქნებოდა საქართველო. დიაღ, ალ-რაზაყის უეცარმა სიკვდილმა დაატრიალა საქართველოს ბედი წაღმა: ამ კაცის სიკვდილმა მოსწყვიტა წელი ოთარს, ამ კაცის სიკვდილით ისარგებლა ზეინაბმა ოთარზე გასამარჯვებლად და თუ ეს უეცარი შემთხვევა არა, ისე ორთ ფიქრობდა ზეინაბი ოთარის მოქცევას, ალლაჰმა უწყის. პიესიდან ჩვენ მხოლოდ ვიცით, რომ ზეინაბი ოთარს ყოველთვის სტუქსავს, ძაღლს, მონას, ცბიერ ქართველს ეძახის. სოლეიმანთან ასმენს, მოღალატე არისო, ღვინოსა სვამს; ლამაზი ქალი ჰყავს და შენ გიმალავსო. აი, ამისთანა ღონისძიებით ამზადებდა ზეინაბი ოთარს საქართველოს დასახსნელად. ეს ტფილისში. ახლა გორში ვნახოთ. დედოფალი მიდის გორში... მაგრამ ჯერ ორიოდე სიტყვა დედოფლის გორში წასვლის შესახებაც. აქაც-კი ღალატობს ზეინაბი, თუ სუმბათაშვილი, ცხოვრების სინამდვილეს: ზეინაბმა უნდა იცოდეს, რომ სოლეიმანის ნებადაურთველად, შეუმჩნევლად, ჰარამხანიდგან მისი გორში წასვლა ყოვლად შეუძლებელია. დიაღ, ეს იცის ზეინაბმა და ის მაინც ეუბნება ისახარს: «აცნობე ანანიას, ირაკლი გორში მოიყვანოს, მე უნდა ვნახო ისაო». ამისთანა განკარგულებას ახდენს დედოფალი სოლეიმანიდან გორში წასვლის ნებართვის მიღებამდე. იღბალი, რომ ამ განკარგულების მოხდენის შემდეგ ოთახიდგან გამოსულმა სოლეიმანმაც უბრძანა დედოფალს: «გორში უნდა გაგგზავნო ოთარის საზვერავადო», თორემ გორში წასვლის ნაცვლად რომ ებრძანებინა, ირანში უნდა გაგგზავნო შაჰინ-შაჰთან შესავედრებლადაო, მაშინ ხომ ფუჭად ჩაივლიდა ირაკლის გორში ჩამოყვანა... ესეც სხვათა შორის!..

დიაღ, იმას ვამბობდი, დედოფალი მიდის გორში: მოულოდნელად თავს დაესხმის ოთარის სასახლეს, ატყვევებს ოთარის მცველებს; სტუქსავს მას დაუდევრობისათვის. ოთარმა იცის, რომ ის სოლეიმანმა მზვერავად გამოჰგზავნა და ამის შემდეგ ზეინაბს საკმაოდ მიაჩნია ყურში ჩაუჩურჩულოს ოთარს: «მე საქართველოს განთავისუფლება მინდა, აი, მეფის შვილი ეს ბიჭი არისო და აბა შენ იციო, და ოთარიც იმ წამსვე მუხლს მოიყრის ირაკლის წინაშე. არა მგონია, რომ ეს ასე მოხდეს. ოთარი იფიქრებს, დედოფალი მცდისო და სულ სხვა ღონეს მიჰმართავს, მაგრამ იღბალი, რომ ალრაზაკს ჰკლავენ და საქმე სულ სხვანაირად დატრიალდება. ამ გარემოებამ დედოფალსაც უშველა, საქართველოც იხსნა და პიესის ავტორსაც ააცილა თავსატეხი საკითხი, თუ რა სიტყვებით ალაპარაკოს დედოფალი ოთართან საიდუმლოდ. დიპლომატიური პოლიტიკაც ამასა ჰქვიან!!

ასეა თუ ისე, მე მაინც გულის დადუნების მიზეზი ვერ ვიპოვე (თუ მიზეზად არ კმარა ის, რაც ზემოდ ვთქვი) და პიესის წაკითხვით ის ჩვეულებრივი სულიერი კმაყოფილებაც ვერ განვიცადე, რასაც კაცი განიცდის უბრალო მოკითხვის წერილის წაკითხვითაც-კი. უნდა გამოვტყდე, ერთხანს ჩემი ამგვარი შთაბეჭდილების გამჟღავნებასაც ვერ ვბედავდი ნაცნობთა შორის შიშით, ვაი, თუ მეტიჩრობად ჩამომართვან-მეთქი. ორმა-სამმა კიდეც მეოხუნჯა: «ბიჭო, კრიტიკა არ დასწეროო». —«შენ რამდენიც გინდა იოხუნჯე, მარამ მე მაინც ვერ გამიგია, «ღალატი» რად ჰქვიან ამ პიესას-მეთქი»?! მივუგე მე გულნატკენად მეგობარს.

დიაღ, დღესაც ვერ გამიგია, ვინ ჩაიდინა ღალატი; ზეინაბმა, ოთარმა, საბამ თუ ანანიამ. ამას-კი თამამად ვიტყვი, რომ ირაკლის საქციელს ღალატი არ ჰქვიან. ის ისე უსუსურად არის აღზრდილი, რომ იმისი არც ღალატი გამაკვირვებს და არც თავდადებულობა. ირაკლიმ ისიც-კი არ იცის, რას ნიშნავს სიტყვა «ღალატი». არც ის იცის «თვითონ თვითონ არის, თუ სხვა ვინმე. საკმაოა უთხრან: ბუში ხარო, დაიჯერებს, უთხრან ანანიას შვილი ხარო, სჯერა; უთხრან: მეფე ხარო—ესეც სარწმუნოდ მიაჩნია. თუ ეტყვიან სპარსი ხარო,—ამასაც ირწმუნებს. უთხარით შენ—შენ არა ხარ-თქო—და ამაშიაც დაგეთანხმებათ. მოდი და ამისთანა კაცს უთხარი: —ფუი! შე მოღალატე-თქო! აქვს-კი ვისმე ზნეობრივი უფლება, რომ ირაკლის მოღალატე უწოდოს? თუ მაინცა-და-მაინც არ მოიშლით და გნებავთ, რომ მოღალატე იპოვოთ, ეს ანანია გახლავთ. ამან აღზარდა ასე ბრმად მეფის შვილი.

ოთარი?.. ოთარი ხომ არ არის მოღალატე? არა... ეს გმირი უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოდა «სანამ არ გაიგო, რომ ის—თამარ»... მერე? მერე შეურიგდა ბედსა და ახალ ვითარებას, ისე, როგორც საზოგადოდ ჰხდება ცხოვრებაში დამარცხების შემდეგ. ისე, როგორც შარშან-წინ დევეტი დაემორჩილა ინგლისის უძლეველ ძლიერებას. ოთარი ისეთივე მოხელეა სოლეიმანისა, როგორიც არიან დღეს ასობით და ათასობით დაპყრობილი ერების შვილები გაბატონებულ სახელმწიფოს სამსახურში. მართალია, მბრძანებლის თვალის ასაბმელად გარეგნობით სჯული გამოიცვალა, მარა შინ ხომ ქართველია, აკი ბესომ იცის, რომ ის ხან ქართველია და ხან სპარსი! შეიცვალა ცხოვრების ვითარება. დედოფალმა გაუმჟღავნა ოთარს თავისი გულის წადილი, მიუთითა ხსნისაკენ და ოთარიც აღსდგა მკვდრეთით, გულ-მხურვალედ დაიწერა ჯვარს, დაუყოვნებლივ შეუდგა სამშობლოს ხსნის სამზადისს და იხსნა კიდეც... არა, ეს კაცი მოღალატე არ არის! მართალია, სიმპატიას არა ვგრძნობ ოთარისადმი, მაგრამ არც მაინცა-და-მაინც საზიზღარ კაცად მიმაჩნია მე ის.

წავიკითხე პიესა მეორეჯერ, მესამეჯერაც სხვებთან ერთად, მაგრამ რის იმედიცა მქონდა და რასაც ვეძებდი მასში, ვერა ვპოვე. მერე ვიფიქრე,—დავიცდი, სცენაზედაც ვნახავ-მეთქი, იქნებ სცენამ სულ სხვა შთაბეჭდილება მოახდინოს-მეთქი. ვნახე სცენაზედაც, 25 იანვარს. ამის სანახავად სხვებთან ერთად ორმოცი ორმოცდაათი ვერსი გზა ამოვიხრიგინეთ, მთელი ღამე უძილოდ გავატეხეთ, მაგრამ სცენაზე მშვენივრად ჩატარებულმა თამაშმაც ვერ გამხადა კმაყოფილი და სულით დამშვიდებული. არ იფიქროთ, რომ არტისტთა თამაშს მოეხდინოს (25 იანვარს) ცუდი შთაბეჭდილება. პიესას ჩვენი საუკეთესო არტისტები თამაშობდნენ და ღირსეულადაც ასრულებდნენ თავიანთს მოვალეობას, ჩვენი არტისტების თამაშს შეიძლება უფრო დიდი შთაბეჭდილება მოეხდინა უცხო მსმენელებზე, მაგრამ ჩვენზე-კი, მიუხედავად არტისტების ხელოვნურის თამაშისა, პიესამ ისე ვერ იმოქმედა, როგორც ველოდით და გვესმოდა. მერე რადა? ნუ თუ შეგვიძლიან ვიფიქროთ, რომ ჩვენ იმ უცხოელებზე უფრო განვითარებული გემოვნება გვაქვს, რომლებიც აღტაცებაში მოიყვანა ღალატმა? არა, ეს მეტიჩრობა იქნება. მიზეზი სხვაგან უნდა ვეძიოთ. მიზეზი ის უნდა იყოს, რომ «გული გულს იცნობს და სული სულსო», იტყვიან და კიდევაც ეგ არის, რომ ჩვენი სული ვერ ვიცანით პიესის გმირებში; ეს გმირები ძალიან სუსტნი ქართველნი ბრძანდებიან და კიდევ უფრო სუსტნი სამშობლოს მხსნელნი. აი, სწორედ ეს უნდა იყოს თავი და თავი მიზეზი იმისა, რომ «ღალატი» ჩვენზე ისე არ იმოქმედებს, როგორც უცხოელებზე უმოქმედნია.

პოლიკარპე ლორთქიფანიძე

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

25 თებერვალი.

სტამბოლი. ბაღდადში სამი შემთხვევა ყოფილა ხოლერით ავადმყოფობისა. ილდიზ-კიოსკში, როგორც ეტყობა, წინააღმდეგნი არიან იმ დადგენილებათა, რომელიც ჟანდარმერიის ცვლილებას შეეხება. სახელმწიფონი მტკიცედ მოითხოვენ, რომ მიღებულ იქმნას იმათი დადგენილებანი.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო»). რუსეთის პეკინელმა ელჩმა შეატყობინა ჩინეთის მთავრობას, უკეთუ ცხენოსანი ბრბონი ავაზაკთა, რომელნიც სჭრიან ტელეგრაფის მავთულებსა, ახდენენ მანჯურიის გზასა, არ შესწყვეტენ რბევა-დაცემასა, მაშინ ჩინეთისაგან გამოცხადებული ნეიტრალიტეტი ნამდვილ ნეიტრალიტეტად არ იქნება აღიარებული.

ტოკიო. («ვოლფის სააგენტო»). იაპონიის მთავრობამ გამოაცხადა დაწვრილებითი პასუხი გრაფ ლამზდორფის 9 თებერვლის თარიღით გამოცემულის ნოტისა გამო. მთავრობა ამბობს, ამ ჟამად საფუძველი არა გვაქვს, შევუდგეთ განხილვას რუსეთის მთავრობის აზრებისა და განცხადებებისას, მაგრამ იმას თავისს უფლებად და ვალდებულებათ მიაჩნია საქმეთა მდგომარეობას და ფაქტებს სიმართლის ნათელი მიაყენოს, რადგანაც სწორედ არ არის გადმოცემული. შემდეგ დაწვრილებით არის გრაფ ლამზდორფის ნოტის ხუთი მუხლი შესწორებული. პირველ მუხლში ნათქვამია,—თუმცა კორეაში ომის გამოცხადებამდე გადასხით ჯარები, მაგრამ ეს მოხდა კორეის მთავრობის თანხმობითა; მეორე მუხლში—დეპეშების გადაცემის შესახებ გავრცელებული ხმები ნამდვილი არ არის; 26 იანვარს უკვე შემოღებულ იქმნა სამხედრო წესები და ჩემულპო არ იყო ჯერ კიდევ სანეიტრალო ნავთსადგურად გამოცხადებული; მესამე მუხლი შეეხება სავაჭრო გემების შეპყრობას; იაპონიამ დააწესა ჯილდოს გამცემი სასამართლოები, ამიტომ ყველა ბრალდება გემების შეპყრობის შესახებ უსაფუძვლოა; მეოთხე მუხლში—უარ-ჰყოფენ ყოველივეს, რაც-კი მოხსენებულია ამ მუხლში, რადგანაც ფაქტებს ეწინააღმდეგებაო. მეხუთე მუხლში ნათქვამია: ის საყვედური, რომელიც იაპონიას გამოუცხადეს, ყოველივე საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება საქმეთა ნამდვილს მსვლელობასა; რუსეთის ელჩი თავის ნებით წავიდა სეულიდან.

ხარბინი. (საკუთარის კორესპონდენტისაგან). 12—15 გრადუსამდეა ყინვები. ჩინელნი ეხლა დამშვიდებით არიან და გულიანად მუშაობენ. აქაური რუსები პატრიოტულის გრძნობებით არიან გამსჭვალულნი. უხვი შემოწირულებებია. ერთმა რედაქციამ კრეისერის სასყიდლად ორასი ათას მანეთზე მეტი შეაგროვა. წითელი ჯვარი მხნედ მუშაობს. საზოგადო კომიტეტი აძლევს მზად მდგომ ჯარის კაცთა სახლობებს საჭმელს, საცმელს და ფულსა. ვაჭარმა პოპოვმა თავის ხარჯით გამართა ხარბინში საავადმყოფო. დღეს აქ მოვიდნენ იალუსთან ტყვედ დაჭერილი იაპონელები.

პეტერბურგი. რუსეთის ვიცე-კონსულმა კოლომბოში 23 თებერვალს შემდეგი დეპეშა გამოგზავნა: «ინგლისის გემ «ამფიტრიდით» მოსულს რუსეთის აფიცრებს და 362 მეზღვაურთ «ვარიაგისას», ინგლისის მოხელენი დიდის ყურადღებით ეპყრობიან და ზრუნამენ მათზე. «ამფიტრიდის» კომანდირმა მეორე ხარისხის კაპიტანს სტეფანოვს ცეილონის გუბერნატორთან წერილი მისცა, რომ ყურადღებით მოეპყრან. თანახმად მიღებულის განკარგულებისა, ჩვენი მეზღვაურნი გუშინ საღამოს გადასხდნენ რუსეთის გემ «მალაიაზე», რომელიც აღმოსავლეთ-აზიის საზოგადოებას ეკუთვნის. გადასვლისას დიდის აღტაცებით და «ურას» ძახილით მიეგებნენ. «მალაია» 24 თებერვალს ადესას წავა.

სოფია. (ოპოზიციის ცნობები). სტამბოლიდგან იუწყებიან, ელჩებმა იმ სახელმწიფოებისამ, რომელთაც რეფორმების პროგრამები შეიმუშავეს, პორტას ახალი მემორანდუმი გაახსენეს. სორგანიზაციო კომისიის გარდაწყვეტილებანი ოსმალეთის სასარგებლოდ არის გათავებული. საქმის გადადება ავნებს ოსმალეთსა, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა დასთანხმდეს, თორემ პასუხის მგებელი თვით ის იქნება. დიპლომატები ჰგონებენ, თუმცა შესაძლოა მაკედონიაში გაჩნდნენ მცირე გუნდნი უკმაყოფილო ჯუფთთაო, მაგრამ მცხოვრებნი მშვიდობიანობას არ დაარღვევენ რეფორმების მოლოდინის გამოო.

ნიუ-იორკი. რამდენიმე შტატში, განსაკუთრებით პენსილვანიაში, წყალდიდობამ დიდი ზარალი მისცა. რკინის გზებით მიმოსვლა შესწყდა.

ლონდონი. აქაური გარეშე საქმეთა სამინისტრო დიდს საგონებელში ჩავარდნილა იმის გამო, რომ თითქმის მთელი ინგლისის პრესა ერთობ მტრულად უცქერის რუსეთსა; ამიტომ სამინისტრომ საყურადღებო მეთაური წერილი დასტამბა, უჩვენებს გაზეთებს გერმანიისა და საფრანგეთის პრესის მოქმედებაზე და ეუბნება, იმათს მაგალითს მიჰბაძეთო.

შანჰაი. იაპონიის ჯარი პორტ-არტურსა და იალუს შუა იქმნება გადასხმულიო; მეორე ჯარი მაშინვე დაიჭერს ნიუ-ჩუანსა, ლიაოს მოშორდება თუ არა ყინული.

კოპენჰაგენი. დანიის მეფეს 86 წელი უსრულდება დაბადების შემდეგ; ამ დღისთვის ინგლისის მეფე-დედოფალს მოელიან.

სეული. («რეიტერის სააგენტო»). თვალსაჩინო შეტაკება არ მოხდება კორეაში ამ ორ-სამ კვირამდე.

ტოკიო. («რეიტერის სააგენტო») გუშინღამ იაპონიის სამხედრო გემები ესროდნენ ყუმბარებს ტალიელვანის კოშკებს და შემდეგ იერიში მიიტანეს პორტ-არტურზე.—კორეის ჯარებმა რუსებს ანჩჟიუში და სუნ-ჩჟიუში სუსტი წინააღმდეგობა გაუწიეს. აქ სარწმუნოდ მიაჩნიათ, იაპონიის ესკადრა, რომელიც ვლადივოსტოკისაკენ წავიდა, პოსიეტის ყურეში რუსეთის გემებს შეხვდაო.

სპრინგფილდი. (შტატი ოგიო). თეთრკანიანებმა ლინჩის კანონით გაასამართლეს ზანგი, რომელსაც ბრალდებოდა თეთრკანიანის ქალის მოკვლა. ორი ათასამდე თეთრ-კანიანნი რევოლვერებით და ფარნებით შეცვივდნენ ზანგთა უბანში და ცეცხლი წაუკიდეს. გაგზავნეს მილიციის რვა როტა. ცეცხლმა 20 სახლი გადაჰბუგა. უწესოება ჯარებმა შეაყენეს.

სტამბოლი. როგორც მიტროვიციდან იუწყებიან, შემსი-ფაშას ჯარის უფროსობა ჩამოართვესო და ამითი უკმაყოფილო ალბანელები დააკმაყოფილესო. დანარჩენ საგნების გამო მოლაპარაკებაა..

26 თებერვალი.

პეტერბურგი. უმაღლესად ნაბრძანებია, რომ დროებით, ვიდრე ახალ განკარგულებამდე, აიკრძალულ იქმნას ცხენების გაზვანა რუსეთის იმპერიიდან.—პირველი სრულიად რუსეთის გამოფენა საჯდომის ცხენებისა, განზრახული პეტერბურგს მაისში, აღარ გაიმართება. იმ გმირობისათვის, რომელიც გამოიჩინა კრეისერმა „ვარიაგმა“ და საკანონერო ნავმა „კორეეცმა“ ჩემულპოს ბრძოლაში 27 იანვარს, როცა წინააღუდგა ბევრად უფრო ძლიერს და რიცხვ-მრავალს მტერს, ხელმწიფე იმპერატორმა ინება და უბოძა: კრეისერ «ვარიაგის» უფროს რუდნევს I და მე-4 ხარისხის ორდენი გიორგისა და ფლიგელ-ადიუტანტობა, უფროს ოფიცერს სტეფანოვს მე-3-ს, ლეიტენანტებს ბერლინგს, ზარუბაევს და ბერენსს, მიჩმანებს შილინგს, ჩერნილოვსკი-სოკოლს, ლობოდას, გუბონინს, ეილერს და ბალკს, ინჟინერ-მექანიკოსებს ლეიკოვს, სოლდატოვს, ზორინს და სპირიდონოვს და მკურნალთ ხრაბროსტინს და ბანშჩიკოვს--მეოთხე ხარისხის ორდენი გიორგისა, შკიპერს ბარსუკოვს, კომისარს დენისოვს—მესამე ხარისხის ორდენს სტანისლავისა მახვილებით და მემანქანეს მარკელოვს—მესამე ხარისხის ორდენი ანნასი მახვილებით. «კორეეცის» უფროს ბელიაევს მეორეს—მეოთხე ხარისხის ორდენი გიორგისა, უფროს ოფიცერს ზაგუხინს—მეოთხე ხარისხის ორდენი ვლადიმირისა მახვილებითა და ბანტით; ლეიტენანტებს სტეფანოვს მეორეს და დევიტსკის—მეორე ხარისხის ორდენი სტანისლავისა მახვილებით, მიჩმანებს ბოისმანს და ბუტლეროვს—მეოთხე ხარისხის ორდენი ანნასი ზედ-წარწერით მამაცობისათვის, ბირილევს მესამე ხარისხის სტანისლავი მახვილებით და ბანტით, ინჟინერ-მექანიკოსს ფრანკს—მესამე ხარისხის სტანისლავი ბანტით, უმცროს მკურნალს მირკუშევს—მესამე ხარისხის სტანისლავი მახვილითა და ორისავე გემის ყველა მდაბიო მეომარს—მეოთხე ხარისხის გიორგის ჯვარი.

ვენა. სლოვენთა პროგრესისტმა დეპუტატებმა ხორვატელ და სლოვენთა დეპუტატთა ჯგუფმა რუსეთის ელჩს გადასცეს თვისი გულითადი წადილი, რომ რუსს იარაღმა გაიმარჯვოს.

ლონდონი. («რეიტ. სააგ.») საზღვაო სამინისტროს პირველმა ლორდმა მიიღო დეპეშა კრეისერ „ვარიაგის“ აფიცრების დედათა და ცოლთაგან, აგრეთვე ლიბაველ ქალთაგან («ვარიაგი» ლიბავის ნავთ-სადგურზეა მიწერილი) და სთხოვენ გადასცეს ინგლისის კრეისერის «ტალბოტის» კაპიტანს მათი უღრმესი მადლობა იმ გულ-კეთილობისათვის, რომელიც კაპიტანმა აღმოუჩინა რუსის დაჭრილ მეზღვაურთ ჩემულპოსთან ბრძოლის შემდეგ. ლორდმა სელბორნმა დაავალა ლიბავის ვიცე-კონსულს, მადლობა გადაუხადოს და ისიც დაუმატოს, რომ ინგლისის ფლოტი მუდამ მზადაა დახმარება აღმოუჩინოს შეჭირვებულ ერთა მეზღვაურებს.

ვლადივოსტოკი. მეფის მოადგილემ აცნობა კომენდანტს, რომ ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანა: გადაეცი მეციხოვნეთ და ვლადივოსტოკის ყველა დამცველთ, რომ ყოვლად-მოწყალედ ვულოცავ სისხლით პირველ ნათლის-ღებასა და დარწმუნებული ვარ, რომ იგინი თავისის გულ-მკერდით დაიფარავენ კადნიერ და თავხედ მტრისაგან ჩვენს სიმაგრესო. მოქალაქენი და მეციხოვნენი აღტაცებულნი არიან ასეთის წყალობით.

პორტ-არტური. პორტ-არტურის მიდამოს არავითარი ცვლილებაა. მცხოვრებნი დამშვიდნენ. ყველა მიეჩვია ომიანობას და თვისს საქმეს შეუდგა.

სეული («რეიტ საგ.») რუსებმა დაიჭირეს კორეის სატელეგრაფო სადგური იონ-უონი. იტყობინებიან, რომ ვითომც რუსებსა და კორეელებს შებრძოლებია მოსვლიათ მდ. ტუმ-ნის კორეელების ნაპირზე.

ინკოუ. («რეიტ. სააგ.») ინგლისის კონსულმა გამოუცხადა ინგლისის ქვეშევრდომთა ცოლთა და ბავშვებს, დასტოვონ ნიუ-ჩუანი, ვიდრე ყინული გალხვება ლიაოზე.

დროებითი რედაქტორი გრ. ყიფშიძე.
გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.

პეტერბურგის ბირჟა

24 თებერვალი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,00
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,75
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,65
ბირჟის დისკონტი	6,7½%
4% სახელმწიფო. რენტა	93 ნის. გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4½% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა	90½ მყიდ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	350 წვრ. გაყ
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	308 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა	246 წვრ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
4½% ტფილ. სადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოკდომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 7 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღი ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2 საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 58 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს 48 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!
ჰიგიენური
ბორნო ტიმოლის საპონი
პროვიზორის
გ. ფ. იურგენსისა.
აქრობს ჭორფლს, ნასიცხს.—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.
ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.
ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.
ისყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში. უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (24—2)

ქუთაისში
ს. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,
რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდები სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.
ფასი დღე-ღამეში ჭამა სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთ შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:
ქაჯანა
2.
ალი
მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.
წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-დადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распрстр. грамотности.

გამოვიდა და ისყიდება ყველგან
ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»
გულივერის მოგზაურობა
სვიფტისა, მრავალი სურათით. 168 გვ. ფასი 30 კაპ.

ხეხილის ნერგები
საუკეთესო ხარისხისა საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი ისყიდება ზომიერ ფასებით ფ. ავსარქისოვის მამულში. ადრესი: კავკასიის რკინის გზის სადგური სკრა. ფ. ავსარქისოვს. კატალოგები ეგზავნება მსურველთ უფასოთ. (10—6)

ВОКРУГЪ СВѢТА.
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛЪ.
ВСѢ ПОДПИСАВШІЕСЯ НА 1904 ГОДЪ ПОЛУЧАТЪ:
50 №№ художественно-литературнаго журнала. Романы — Повѣсти. — Путешествія. — Иллюстраціи. — 1.200 столбцовъ текста.
ПОЛЕЗНЫЯ СВѢДѢНІЯ по общедоступной медицинѣ и гигіенѣ. — По технике. — По домашнему хозяйству. — По садоводству, цвѣтоводству и огородничеству. — Игры и забавы. — Иллюстраціи.
12 выпусковъ **МОДНАГО ЖУРНАЛА.**
12 выпусковъ **ВЫШИВОКЪ И ВЫПИЛИВАНІЙ.**
16 книгъ иллюстрированнаго собранія сочиненій **ВАЛЬТЕРА СКОТТА.**
8 книгъ иллюстрированнаго собранія сочиненій писателя **КОНАНЪ-ДОЙЛЯ.**
БОЛЬШОЙ ТОМЪ ВЪ 320 СТРАНИЦЪ богато иллюстрированной исторіи царствованія **ИМПЕРАТОРА АЛЕКСАНДРА II,** со множествомъ портретовъ и рисунковъ.
ОСВОБОЖДЕНІЕ КРЕСТЬЯНЪ. Картина акад. Н. В. ЛЕБЕДЕВА, размѣромъ 17×24 вершка.
ЦѢНА на годъ съ доставкой и пересылкой **4 Р.** То же съ картиной **5 Р.**
Разсрочка: при подпискѣ 2 р. къ 1 апрѣля 1 р. къ 1 іюля 1 р.
Адресъ: Москва, Петровка, д. Грачева, № 21, редакція журнала „Вокругъ Свѣта“.
Журналъ издается Т-вомъ И. Д. Сытина.

ახალი წიგნები
წიგნის მაღაზია „ცოდნა-“ს
გამოცემა.

გრიგოლ ორბელიანის ლექსები სურათით	20 კ.
წმინდა გიორგის რაზმი	5 ,,
სამეგრელოს სერო სკოლები ლოლუასი	5 ,,

ჩვენი გამოცემანი.

სიმღერა აკაკისა	15 ,,
თამარ მეფე	5 ,,
ვაჭრული ჭკუა	5 ,,
დათუნა გოცირიძე და **როსტომ ერისთავი** ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
პატარა ჩონგური ლექსები (დედა-ენა)	5 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახვირე** **მეფე და სკვინჩა** ხალხური ზღაპარი	10,,
აბრამის და იობის ლექსი	3,
სურათი თამარ მეფისა	5,,
კულტურა ლიპერტისა	50,,
ლექსიკონი რუსულ ქართული მინერალოგ. ასტრონომ. ზოოლოგ. და ტეხნიკ. სიტყვებისა. კ. ყიფიანისა	50 ,,

აქვე ისყიდება ყოველ გვარი ქართული წიგნები
ვინც მოისურვებს წიგნების დაბარებას არა ნაკლებ **ორი მანეთისა** დაუყონებლივ გაეგზავნება ფას-დადებით.
ადრესი ფოსტ.: Тифлисъ. книжный магазинъ «ЦОДНА»
მაღაზიის პატრონი **სოსიკო მერკვილაძე.** 10—9

მიიღება ხელის-მოწერა 1904 წლისათვის ორ-კვირეულ გამოცემათა ქართულს
„მწყემს“-ზე
და
რუსულ „**ПАСТЫРЬ**“-ზე
XIX
ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი“	3 მ.	ორივე გამოცემა	5 მ.
სამკურნალო ფურცლის დამატებით	4 მ.	6 თვით „მწყემსი“	2 მ.
რუსული	3 მ.	რუსული	2 მ.
		ორივე გამოცემა	3 მ.

გაზეთზე ხელის მოწერა შეიძლება დაბა ყვირილაში რედაქციაში, ქუთაისში ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, ტფილისში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ-ნ შიო ქუჩუკაშვილთან. ახალსენაკში—ბლაღოჩინ ჰამა არ. კალანდარაშვილთან.
სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად.**
რედაქცია იმყოფება დაბა **ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.
გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ“ и „ПАСТЫРЬ“.**
რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი“-სა, რომელნიც ორ მანეთად დაეთმობათ მსურველთ.
რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კატალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

Дозволено цензурою Тифлисъ, 26 февраля 1904 г.
Тип. Е И. Хеладзе. Рус. базаръ арм. домъ, семинаріи.